პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>პროექტს ერთობლივად აფინანსებს ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), აზიის განვითარების ბანკი (ADB), სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმი (NIF) და საქართველოს მთავრობა. საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს 28 ქალაქში წყალმომარაგების სისტემების განახლება/სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. პროგრამის განხორციელების ვადებია 2014-2016 წწ. პროგრამა მოიცავს, როგორც სამშენებლო სამუშაოებს, ასევე საქონლის შეძენას საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის.</p> <p>პროექტების განხორციელება დაგეგმილია: სამეგრელო-ზემო სვანეთის და გურიის რეგიონებში (ოზურგეთი; სენაკი; ხობი; აბაშა) იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონებში(ტყიბული; ზესტაფონი; ჭიათურა; ონი) კახეთის რეგიონში(თელავი-კურდღელაური; ახმეტა; გურჯაანი; სიღნაღი; წნორი; საგარეჯო; ლაგოდეხი)</p>

	<p>შიდა ქართლის რეგიონში(ქარელი; დუშეთი) ქვემო ქართლის რეგიონში(ბოლნისი; თეთრიწყარო; წალკა) სამცხე- ჯავახეთის რეგიონში (ასპინძა;ახალციხე;წაღვერი; ლიკანი)</p> <p>პროექტის განხორციელების შედეგია მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების ხანგრძლივობის გაზრდა აღნიშნულ ქალაქებში, ოპერირების ხარჯების შემცირება, მოსახლეობისაგან წყლის მიწოდების და წყალანირების მომსახურების საფასურის ამოღების მაჩვენებლების გაუმჯობესება; წყალმომარაგების და წყალარინების მდგრადი ფუნქციონირება.</p>
საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი (SIDA)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 04 04
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>პროექტის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის ხელშეწყობა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ექსპერიმენტულად განხორციელება. პროექტი მოიცავს ქ. წყალტუბოს და ქ. თელავის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში 2016 წელს გათვალისწინებულია: ქ. წყალტუბოს და ქ. თელავის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა; ტექნიკური დახმარება და საკონსულტაციო მომსახურებები.</p>
ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 04 05
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს	25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია

პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სასმელი წყლის და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია ქუთაისში, ფოთში, ზუგდიდში, ანაკლიაში, ურეკში, მესტიასა და მარნეულში.</p> <p>ქუთაისი - სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენების, რეზერვუარების, სატუმბო სადგურების და გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა;</p> <p>ფოთი - რეზერვუარების, მაგისტრალური მილსადენების, კანალიზაციის ქსელების, კოლექტორების, სატუმბო სადგურების, გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;</p> <p>ზუგდიდი, ანაკლია, ურეკი, მესტია, მარნეული - სათავე ნაგებობების, რეზერვუარების, მაგისტრალური მილსადენების, გამანაწილებელი ქსელების, კანალიზაციის ქსელების, კოლექტორების, სატუმბო სადგურების, გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;</p>
იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (KfW)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 05
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 05 - იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>პროექტის მიზანს წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისათვის ხელის შეწყობა.</p> <p>დასრულებულია ძირითადი გრანტით გათვალისწინებული ყველა სამშენებლო სამუშაოები, მუდმივი საცხოვრებელი ფართი მიიღო 520-მა ოჯახმა. პროექტის დასრულების შემდეგ ძირითადი გრანტიდან დარჩა აუთვისებელი თანხა, რომლის მიმართვა დონორთან შეთანხმებით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მოთხოვნით, მიმართული იქნება უკვე არსებული სახლების შესამენად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური კომპონენტით გათვალისწინებული ასაწყობი საოფისე/სახელოსნო შენობების მოწყობა (ქუთაისში,</p>

	ფოთში, ზუგდიდში). შექმნილია საოფისე ინვენტარი შესაბამისი ოფისებისათვის (კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი). გაფორმდა კონტრაქტი არასამთავრობო ორგანიზაცია "ათინათი"-თან, სოციალურ-ეკონომიკური კომპონენტის განსახორციელებლად, რომლის მიზანია დაეხმაროს ახალმოსახლეებს დაარსონ მობინადრეთა ასოციაციები და მათი მეშვეობით მოახდინონ იმ საქმიანობების ორანიზება, რომელიც გამიზნულია მრავალჯერადი შედეგების მისაღწევად, როგორცაა: საზოგადოებრივი საკუთრების შეგრძნების განვითარება, ინვესტირების შენარჩუნება - შენობების მოვლა-პატრონობის გზით, ადგილობრივი სამუშაო ადგილების შექმნა.
პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	
პროექტის პროგრამული კოდი	27 01 03
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	27 01 - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება:</p> <p>ახალი დაწესებულების მშენებლობის გაგრძელება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში;</p> <p>სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არსებულ პენიტენციურ დაწესებულებებში;</p> <p>ცალკეული დაწესებულებების აღჭურვა შესაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვენტარით;</p> <p>საზოგადოებრივი მისაღების აშენება N14 დაწესებულებაში.</p> <p>N2 დაწესებულების ტერიტორიაზე ახალი საბადრაგო და სპეციალური დანიშნულების დასავლეთის სამმართველოს ბაზის შენობის აშენება;</p> <p>სახელობო, პროფესიული, საგამანათლებლო და სარეკრეაციო კურსებისა და პროგრამებისათვის აუცილებელი სატრენინგო ოთახების შექმნა.</p>
საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა	
პროექტის პროგრამული კოდი	32 05 01 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

პროექტი	
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	32 05 - საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა შესაბამისი კომპიუტერული აღჭურვის უზრუნველყოფით.
საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	
პროექტის პროგრამული კოდი	32 05 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	32 05 - საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების, სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა და რეაბილიტაცია; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით (ნათ შორის სასკოლო მერხებითა და სკამებით) უზრუნველყოფა. საჯარო სკოლებში წინა წლებში დამონტაჟებული გათბობის სისტემების მდგომარეობის მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების, სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა	
პროექტის პროგრამული კოდი	33 04 02 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	33 04 - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების (ისტორიული დასახლებებისა და ქალაქების), კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება. ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების რეაბილიტაცია, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები.</p> <p>პროექტის ფარგლებში გაგრძელდება სვანური კოშკების და მაჩუბების, ატენის სიონის, თბილისში მეტეხის ეკლესიის, სქურის, ბებრის ციხის, ანჩისხატის ეკლესიის, ნოღას ციხის, ნაბახტევის, კლდისუბნის ეკლესიის, გელათის სამონასტრო კომპლექსისა და თისელის რეაბილიტაცია. აგრეთვე, დოლოჭოპის კონსერვაცია, გეგუთის სასახლის არქეოლოგია და გამოვლენილი ნაშთების კონსერვაცია, არმაზის-ხევის პიტიახშთა რეზიდენციის არქეოლოგია და მოწესრიგება-კონსერვაცია, ხვამლის არქეოლოგია, ალავერდის არქეოლოგია და კონსერვაცია, ვარძიის კედლის მხატვრობის კონსერვაცია, კვიპროსში ღალიის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევა და კონსერვაცია.</p> <p>დაიწყება ბაგინეთის არქეოლოგიური ნაშთების კონსერვაცია, მცირე ჯვრის ქვის კონსერვაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება.</p>
სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	
პროექტის პროგრამული კოდი	35 04
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	35 04 - სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა; სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა, აღჭურვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.</p> <p>დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა და აღჭურვა, დაბა ხარაგაულის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს მშენებლობა, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის დასრულება, დედოფლისწყაროს მრავალპროფილიანი და ლენტეხის მრავალპროფილიანი საავადმყოფოების მშენებლობის დასრულება.</p>
მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	
პროექტის პროგრამული კოდი	36 01 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 01 - ენერჯეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (იმერეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, სამეგრელოს, რაჭის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის) გაზის გარეშე არსებული სოფლების (დაახლოებით 113 სოფელი) გაზიფიცირება.</p> <p>დაგეგმილია დაახლოებით 300 კმ სიგრძის სხვადასხვა დიამეტრის (90-160 მმ) გაზის მილების მონტაჟი. სოფლების სრული დაქსელება, 32 904 აბონენტისათვის გაზის მიწოდების ხელმისაწვდომის მიზნით.</p> <p>პროექტის რეალიზაციის შედეგად საქართველოში ძირითადად გადაწყვეტილ იქნება ბუნებრივი აირის გარეშე არსებული აღნიშნული რეგიონების სოფლების გაზიფიცირების საკითხი.</p>
ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EU)	
პროექტის პროგრამული კოდი	36 02 01

პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 02 - ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>90-იან წლებში აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის გამო დაზიანდა ვარდნილჰესი 1-ის როგორც აგრეგატების, ასევე გამყვანი არხი, კაშხლის ინფრასტრუქტურა და სხვა კვანძები. წინა წლებში ჩატარდა აგრეგატების და ქვესადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.</p> <p>დაგეგმილია ჰესის გამყვანი არხის, კაშხლის გვირაბისა და სხვა კვანძების რეაბილიტაცია. კერძოდ: წყალსატარი გზების, ზედაპირული წყალსაშვის ფარებისა და ამწე მექანიზმების რეაბილიტაცია, კაშხლის ნაგავდამჭერი გისოსების რეაბილიტაცია, წყალმიმღების მუშა ფარების ამწე მექანიზმების რეაბილიტაცია, ჯოჯგინა ამწეების (ორი) აღდგენა, სადაწნეო მილსადენებზე კომპენსატორების აღდგენა, მილსადენების ანტიკოროზიული სამუშაოები და სხვა.</p> <p>ვარდნილჰესი 1-ის გამყვანი არხის რეაბილიტაცია, კერძოდ: დაზიანებული ბეტონის ძირის და ფერდების აღდგენა, არხის მარჯვენა ფერდის გამაგრება, არხის გაწმენდა ნატანისაგან. კაშხლის მონიტორინგის სისტემის შეძენა-მონტაჟი, კაშხლის სიღრმული წყალსადენების და გვირაბის რეაბილიტაცია. ასევე კაშხლის დამხმარე კვანძების და ვარდნილჰესი 2-ის სარეგულირებელი ფარების რეაბილიტაცია. 23 კმ სიგრძის გამყვანი არხის (ვარდნილი 1-დან შავი ზღვის შესართავამდე) ნატანისაგან გაწმენდა.</p> <p>ვარდნილჰესი 1-ის რეაბილიტაციის შემდეგ გაუმჯობესდება ჰესის მუშაობის საიმედოობა, არხის საპროექტო სიმძლავრის (არხის გამტარიანობა) უზრუნველყოფა, ელექტროენერჯის წარმოების გაზრდა, ენგურჰესის ნორმალური ფუნქციონირება.</p>
რეგიონული ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი (ADB)	
პროექტის პროგრამული კოდი	36 03 01
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 03 - სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>პროექტი წარმოადგენს საქართველოს ენერჯეტიკული სექტორის განვითარების გეგმის განუყოფელ ნაწილს და მისი კომპონენტები შერჩეულია სსე-ს საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად. პროექტის მიზანია რეგიონში ელექტროენერჯით ვაჭრობის ხელშეწყობა, არსებული ქვესადგურების რეაბილიტაციისა და ახალი ქვესადგურის მშენებლობის გზით.</p> <p>პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) ახალი 220/110 კვ ქვესადგურის „ხორგა“ მშენებლობა; 2) 500/220/110 კვ ქვესადგურის „ქსანი“ რეაბილიტაცია; 3) 220/110კვ ქვესადგურის „მარნეული“ რეაბილიტაცია-გაფართოება 500 კვ ფართით; 4) 220/110 კვ „მენჯის“ ქვესადგურში ძალოვანი ტრანსფორმატორის შეცვლა; 5) სამუშაოების ზედამხედველი კონსულტანტის შერჩევა.
500 კვ ეგხ-ის მშენებლობა ქსანი-სტეფანწმინდა (EBRD, EC, KfW)	
პროექტის პროგრამული კოდი	36 03 02 01
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 03 - სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>500კვ „ქსანი-სტეფანწმინდა“ გადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლის საშუალებით მოხდება ელექტროენერჯის გამოტანა მშენებარე დარიალის, ლარსის და აგრეთვე, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მომავალში ასაშენებელი სხვა ჰიდროელექტროსადგურებიდან და მათი მიერთება ქსელში.</p> <p>500კვ „ქსანი-სტეფანწმინდა“ გადამცემი ხაზის (დაახლოებით 95კმ) დაკავშირება 110კვ ყაზბეგის ქვესადგურთან 110კვ დარიალის გადამცემი ხაზის გაფართოებით. გადამცემი ხაზის დერეფანი წარმოადგენს ქსანი-ვეძათხევი-ქართალის მაგისტრალს, რომელიც კვეთს ფასანაური-წინამხარი-კიტოხი-გუდამაყარი-კარკუჩა-სნო-აჩხოტის გზას. რეგიონის გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე აღნიშნული დერეფანი ითვლება საშუალო სირთულის დერეფნად 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის.</p>
ჯვარი ხორგა ელექტროგადამცემი ხაზი (EBRD, EC, KfW)	

პროექტის პროგრამული კოდი	36 03 02 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 03 - სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს ჯვარში ახალი 500/220კვ ქვესადგურისა და დაახლოებით 70კმ საერთო სიგრძის შესაბამისი ახალი გადამცემი ხაზების მშენებლობა, რომელიც წარმოადგენს სსე-ის ერთ-ერთ მთავარ საინვესტიციო პრიორიტეტს. პროექტის განხორციელების ზედამხედველობას, მონიტორინგსა და კონტროლს უზრუნველყოფს სსე-ის შვილობილი კომპანია “ენერგოტრანსი”.</p> <p>პროექტის ფარგლებში მოხდება ჯვარში ახალი 500/220 კვ-იანი ქვესადგურის მშენებლობა. პროექტი ითვალისწინებს 8 კმ სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას, რომელიც მიუერთდება არსებულ, 500 კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზს “კავკასიონი” და ხორგას 220 კვ-იან და ჯვრის 500 კვ-იან ქვესადგურებს შორის 60 კმ სიგრძის ორჯაჭვა 220 კვ-იანი ე.გ.ხ.-ის .</p> <p>ჯვარი-ხორგას ქსელი, საგრძნობლად გააუმჯობესებს საერთაშორისო და ადგილობრივი მომსახურების ხარისხს და საიმედოობას. ახალი ქვესადგურის მშენებლობით და 220 კვ-იანი ხაზების საშუალებით, შესაძლებელი გახდება ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდება და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ენერგომომარაგების უზრუნველყოფა.</p> <p>საპროექტო ღონისძიებები მოიცავს:• პაკეტი “ა” – 500/220კვ ქვესადგურის მშენებლობა ჯვარში;• პაკეტი “ბ” – 220კვ ეგხ–ს მშენებლობა ქს ჯვარი – ქს ხორგა (60კმ) და არსებული 500კვ ეგხ კავკასიონის შეჭრას ქს ჯვარში (8 კმ);• პაკეტი „გ“-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა-ზედამხედველობა;• პაკეტი „დ“-სპეც. მანქანებისა და იარაღების შესყიდვა.</p>
220კვ "ახალციხე-ბათუმი" ხაზის მშენებლობა (WB)	
პროექტის პროგრამული კოდი	36 03 03
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 03 - სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ახალციხისა და ბათუმის ქვესადგურების დამაკავშირებელი 220 კვ-იანი ორჯაჭვიანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ელექტროსისტემის გაძლიერების მიზნით. პროექტის ფარგლებში განხორციელდება: ორჯაჭვა 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა; ხაზის სიგრძე 150 კმ-ია, დამონტაჟდება დაახლოებით 500 ანძა; განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდება მდინარე აჭარის წყალზე ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურების კასკადის გამომუშავებული ელექტროენერჯის სისტემაში შეყვანა (ჯამში 360 მგვტ).
სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შექმნა	
პროექტის პროგრამული კოდი	37 01 03 01
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	სოფლის მეურნეობა
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	37 01 - სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია. სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმებისა და მოწყობილობების შექმნა, სამელიორაციო ობიექტებზე საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების საწარმოებლად. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი საირიგაციო სისტემების სარეაბილიტაციო ღონისძიებები: 1. მერეთის თემის სოფლების: მერეთის, გეგუთიანთკარის, ზარდიაანთკარის და კომკას სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფა წყლის თვითდინებით და სტაციონალური სატუმბი სადგურის მოწყობით 2. ძვერა-შერთულა (ლოტი 1 და II) კონტრიბუცია IFD თანადაფინანსებისათვის 3. ტირიფონის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მეჯვრისხევი-ბერშვეთის მონაკვეთის, მეღვრიკისის ტერიტორიაზე არსებული გვირაბის, გ-4 და გ-3-2 გამანაწილებლების რეაბილიტაცია 4. ხურვალეთის სატუმბი სადგურის, სადაწნო მილსადენის, ნადარბაზევის წყალსაცავის

- ჰიდროტექნიკური ნაგებობების და გ-1: -6 გამანაწილებლების რეაბილიტაცია
5. სალთვისის სარწყავი სისტემის სოფლების დვანის და დირბის ტერიტორიაზე გ-2 (შ-2) გამანაწილებლის და ავარიული წყალსაგდების, "ალტერნატიული არხის" მონაკვეთის (პკ 43+40-დან პკ 92+04 მდე) "ძლევვიჯვრის არხის" და გ-1-1 გამანაწილებლების რეაბილიტაცია
 6. ტაშისკარის სარწყავი სისტემის გომი-ავარის მონაკვეთზე განშტოება 1-4 გამანაწილებლის მონაკვეთის აღდგენა-რეაბილიტაცია (II რიგი)
 7. ტაშისკარის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები სოფელ შაქმაქეთთან
 8. სკრა-ქარელის სათავე ნაგებობაზე წყლის დონის ამწევი ჰიდროტექნიკური ნაგებობის მოწყობა და ქ. ქარელის ტერიტორიაზე მაგისტრალური არხის ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები
 9. ნარეკვავის წყალსაცავის კაშხლის და კატასტროფული წყალსაგდების აღდგენა-რეაბილიტაცია
 10. სიონის წყალსაცავის კაშხლის საკონტროლო-მზომი მოწყობილობების, ავტომატიზირებული სისტემის და კავშირგაბმულობის აღდგენა
 11. თელოვანის არხის და თელოვანი არხი-2-ის (პატიმრების არხი) მაგისტრალური არხების, მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების და I რიგის გამანაწილებლების აღდგენა-რეაბილიტაცია, მდინარე ქსანზე სათავე ნაგებობების მოწყობით
 12. ბულაჩაურის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია
 13. წეროვანის დევნილთა დასახლების საკარმიდამო ნაკვეთების მოსარწყავად, წყალმიმყვანი მაგისტრალისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობა (რეგ. ფონდის თანადაფინანსებით 900 ათასი ლარი)
 14. იაკუბლოს წყალსაცავის კაშხლის კონსტრუქციული მდგრადობის და ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები
 15. სოფ. ავრანლოს და გუმბათის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის და I რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაცია
 16. გარდაბნის სარწყავი სისტემის გ-9 (ქვემო და ზემო) და გ-14 გამანაწილებლების და მაგისტრალურ არხზე მოწყობილი წყალსარეგულაციო კვანძების აღდგენა-რეაბილიტაცია
 17. ზემო სამგორის სარწყავი სისტემის გ-6 გამანაწილებლის რეაბილიტაცია
 18. ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხის გ-8 გამანაწილებლის რეაბილიტაცია
 19. ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია (I რიგი)
 20. ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია (II რიგი)
 21. ნაურდლის სარწყავი სისტემის დაზიანებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების

რეაბილიტაცია

22. `ზილიჩა-I` მასივზე სოფ. სამთაწყაროს მექანიკური მორწყვის სარწყავი სისტემის სადაწნეო მილსადენის და სატუმბი სადგურის აღდგენა-რეაბილიტაცია

23. სოფ. ფიროსმანის მექანიკური მორწყვის სისტემის რეაბილიტაცია, სატუმბი სადგურის მოწყობით (II ეტაპი)

24. ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე არსებული ძველი ანაგის სატუმბი სადგურის მექანიკური მორწყვის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაცია

25. ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე არსებული ზემო მაჩხანი-არბოშიკი-ოზაანის სატუმბი სადგურის მექანიკური მორწყვის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაცია

26.სოფ.საბუეს სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია

27. ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ვეჯინის სწრაფდენის და ბაკურციხის ღვარსაშვის აღდგენა-რეაბილიტაცია

28. ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის გ-41 გამანაწილებელი არხის აღდგენა რეაბილიტაცია

29. ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის გ-42 გამანაწილებელი არხის აღდგენა რეაბილიტაცია

30. ხევაშენის თვითდინებითი სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია

31. სარო-ხიზაბავრას სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხისა და I და II აწევის სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია

32. გიორგიწმინდას მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის არსებული სატუმბო სადგურის რეაბილიტაცია

33. აჯამეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, წყალმიმღების, სალექარის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია

34. ვარციხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის I და სხვა რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაცია

35. სოფელ ციხესულორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია

36. სამელიორაციო ჰიდროკვანძების გარე ელ. მომარაგების ქსელში ჩართვა.

37. ლოჭინის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის და მაგისტრალური არხის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაცია, ზ/სამგორის ს/ს ქვემო მაგისტრალური არხის წყლით უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად.

დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია:

1. მდ.პიჩორის გასწორხაზოვნებული მონაკვეთების(წყალმიმღები და წყალგამყვანი) საპროექტო პროფილის (გამტარიანობის გაზრდა) და მასზე მოწყობილი ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაცია პკ49+50 დან პკ 166+20-მდე II რიგი.

	<p>2. მერეკრძელა-კაპროვანის (შეკვეთილის) მასივის დამშრობის სისტემის მაგისტრალური წყალგამყვანი არხების და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობის აღდგენა-რეაბილიტაცია (I ეტაპი)</p> <p>3. რიონი-ჩოლოქის მდინარეთაშორისო მასივზე სოფ. ნატანების დამშრობი სისტემის (სისტემის გარეთ დამშრობი მასივი) რეაბილიტაცია (I რიგი)</p> <p>4. რიონი-ჩოლოქის მდინარეთაშორის მასივზე, რიონის მარცხენა სანაპირო მასივზე, ნიგოეთის თემის სოფელ ჭყონაგორის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია</p> <p>5. რიონი-ჩოლოქის მდინარეთაშორისო მასივის დამშრობის სისტემების რეაბილიტაცია</p> <p>6. რიონი-ხოზის მდინარეთა შორის მასივზე ჭალადიდის დამშრობის სისტემის მაგისტრალური წყალგამყვანი არხის, პირველი და სხვა რიგის წყალშემკრები კოლექტორების, შიდასამეურნეო არხების რეაბილიტაცია - I რიგი</p> <p>7. ხობი-ენგურის მდინარეთაშორის მასივზე სოფ.დარჩელის დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია I რიგი</p> <p>8. „ანჯელის“ მასივის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია II რიგი</p> <p>9. ხობი-ენგურის მდინარეთაშორის მასივზე დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია</p> <p>10. ცხენისწყალი-ცივას მდინარეთაშორის მასივზე დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია</p> <p>11.ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში ალაზნისპირა მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია გურჯაანის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე I რიგი</p> <p>12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია I რიგი</p> <p>ასევე, განხორციელდება სარეაბილიტაციო ობიექტების პროექტირება, ექსპერტიზა, ზედამხედველობა და შექმნილ იქნება სხვადასახის ტექნიკა</p>
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (კაპიტალური პროექტი)	
პროექტის პროგრამული კოდი	37 01 05 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	სოფლის მეურნეობა
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	37 01 - სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ცალკეული დარგობრივი მიმართულებით კოოპერატივებისათვის საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნა. განხორციელდება შემდეგი პროექტები: 2 თავლის საწარმოს, ხილის საშრობი საწარმოსა, მატყლის გადამამუშავებელი საწარმოს და ღვინის ქარხნის მშენებლობა-აღჭურვა.

აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD)	
პროექტის პროგრამული კოდი	61 12 03
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	61 12 - დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა, რაც ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში ევროკომისიის დირექტივების შესაბამისი სანიტარული ნაგავსაყრელის პოლიგონის მოწყობას. ამასთან, პროექტის ფარგლებში განხორციელდება ბათუმის (გონიოს დასახლება) და ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული არასტანდარტული და ექსპლოატაციისთვის არასათანადო ნაგავსაყრელების კონსერვაცია
ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (III ფაზა) (EU, KfW)	
პროექტის პროგრამული კოდი	61 12 04
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	61 12 - დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ბათუმში წყალმომარაგების და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია. ასევე ბათუმის მიმდებარე სამ სოფელში (ჩაქვი, მწვანე კონცხი და მახინჯაური) არსებული წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და აღნიშნული სოფლების უზრუნველყოფა დეცენტრალიზებული წყალარინების სისტემებით. ბათუმში სანიაღვრე სისტემის ნაწილის რეაბილიტაცია და წყლის მრიცხველების დამონტაჟება.